# ცნობის ფურცელი

№ 2163 ოთხშაბათი, 28 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2163

**გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: წვრილი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდა-პირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе".** ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რქევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

**ტფილისი**, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—85)

საჭიროა
დიდის ხნით სადგომი

კერძო საავადმყოფოსათვის. სადგომში უნდა იყოს 12 ოთახი, ყოველ გვარის მოწყობილებით. შემდეგ ქუჩებზე: მიხეილისა, ელისაბედისა, ნიკოლოზისა კიროჩნის ქუჩამდე. სასურველია, რომ სადგომი განცალკევებული იყოს. ცნობების შეტყობა შეიძლება გედევანიშვილისეულ სამკურნალოში და კბილის ექიმს ქიქინაძესთან (მიხეილის ქუჩა, № 81). (5—6.—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ს. მუსხელიშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
ექიმები:

**ა. ი. ჯორჯიკაძე**—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.
**ნ. ტ. მუღინი.** ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.
**მ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
**ა. ვ. მადალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
**ი. პ. [illegible]**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
**დ. ა. ზედგინიშვილი**, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
**მ. მ. [illegible].** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
**ზრ. ვ. [illegible]**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

**ა. ვ. მადალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
**მუსხელიშვილი**—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კონსილიუმი—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

## საზღვარ-გარედ

—

**ბალკანეთი.** რევოლიუციონური მოძრაობა თითქმის მისუსტდა მაკედონიაში: აღარ მოდის ცნობები ახალ შეტაკებათა შესახებ. მაგრამ ეს დაწყნარება დროებითია: „მოსალოდნელია კიდევ უფრო ძლიერი ქარიშხალი. ბოლგარიის მთავრობას იმედი აღარ აქვს საქმის მშვიდობიანად გათავებისა; ოსმალეთის ფინანსიური მდგომარეობა აწეწილია; ომის მომხრე პარტია უფრო და უფრო მეტ გავლენას იჩენს და ადვილად შესაძლებელია ბოლგარიამ ომი გამოუცხადოს.

მცირე აზიიდან ჯარების გადმოყვანა აქამდე არ შეწყვეტილა მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთის მთავრობა ირწმუნება—რევოლიუციონური ორგანიზაცია უკვე მოსპობილი არისო. თუ მართლა ასე შესუსტებულია რევოლიუციონური მოძრაობა, რადად მიჰყავთ ეს ახალი ჯარები მაკედონიაში, თუ არ იმისთვის, რომ ბოლგარიასთან ომი გამოიწვიოს.

გაზეთ „ტან"-ის კორესპონდენტის სიტყვით, კონსტანტინეპოლელი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ გერმანიის შეხედულებით ოსმალეთს მხოლოდ ომის გამოცხადებით შეუძლია გამოვიდეს ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან. თუ ეს მართალია, ომი აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან ოსმალეთის ეხლანდელი სულთანი დიდი მოტრფიალეა გერმანიისა და დიდად აფასებს ვილჰელმ მეორის აზრსა და შეხედულებას. მარტო ისიც კმარა, რომ გერმანიამ სხვა სახელმწიფოებზე ნაკლების ენერგიით მოსთხოვოს სულთანს მშვიდობიანობის დაცვა.

ოსმალეთს აღარ შეუძლიან ამოდენა ჯარი სამხედრო ფეხზე დაყენებული შეინახოს და არჩინოს; გარდა ამისა, როცა საზღვარზე ამოდენა ჯარია თავმოყრილი, ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს ისეთი ინციდენტი, რომელსაც აუცილებლად ომიც მოჰყვება ხოლმე. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ბოლგარებსა და ოსმალებს შორის გამწვავებული მტრული დამოკიდებულება არსებობს".

**ბორის სარაფოვი.** მაკედონელი რევოლიუციონერი და მეთაური რევოლიუციონურ ორგანიზაციისა ბორის სარაფოვი სიცოცხლეშივე ლეგენდარული პიროვნება შეიქმნა. მართლაც განსაცვიფრებელ მოხერხებას და გაბედულობას იჩენს მაკედონელი მამულიშვილი. „არ ვიცი, რა უფრო უნდა გიკვირდესო, სწერს ერთი გაზეთი, სარაფოვის რაზმების ორგანიზაცია და დისციპლინა, ოსმალეთის პოლიციის უმწეობა თუ ის დახმარება, რომელსაც უჩენენ სარაფოვს ფარული მეგობრები.

ერთი კვირის წინად, სანამ სალონიკში საშინელი აფეთქება მოხდებოდა, ერთ კონსულთან მისულა ახალგაზრდა კაცი, ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილი, და უთხოვია ადგილი; ახალგაზრდას პასპორტიც ჰქონდა, რეკომენდაციის წერილებიც; თან რამდენიმე ევროპიული ენაც იცოდა და ამიტომ კავასის ადგილი მისცეს. როგორც კავასი იგი შეიქმნა მოწმე სალონიკის კატასტროფისა; რვა დღე კიდევ დარჩა ქალაქში და შემდეგ სადღაც გაჰქრა. რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყეს, რომ ეს კავასი ბორის სარაფოვი იყო.

მეორე ფაქტი, რამდენიმე კვირის წინად მონასტირში ჩამოსულა კათოლიკე პატერი პასპორტითა და გავლენიან პირების წერილებით; პატერი ჩამოსვლისათანავე შეუდგა შემოწირულებათა შეგროვებას საქველ-მოქმედო მიზნისათვის. მოხერხებულ მღვდელს დიდ-ძალი ფული მოდიოდა ყოველის მხრიდან. პატერის წასვლის შემდეგ პოლიციამ სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ ბორის სარაფოვმა მშვენივრად შეასრულა კათოლიკე პატერის როლი.

მაისის შუა რიცხვებში უსკიუბში მისულა ერთი კომი-ვოიაჟერი სხვა-და-სხვა საქონლის ნიმუშებით; საქონელი ეკუთვნოდა ერთ ცნობილ ფირმას. კომი-ვოიაჟერმა ბევრი საქმე გააკეთა და დიდ-ძალი ფულიც შეაგროვა. შემდეგ ნიშში წავიდა და აქედან ბოლგარიაში გადავიდა. ეს ხერხიანი კომი-ვოიაჟერიც ბორის სარაფოვი იყო".

**ავსტრია და იტალია.** მთელ იტალიაში დემონსტრაცია დემონსტრაციაზე ხდება ავსტრიის წინააღმდეგ მიუხედავათ იმისა, რომ იტალიაც და ავსტრიაც ერთ და იმავე კავშირის წევრები არიან.

მართალია იმ თავითვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ სამთა კავშირი მთავრობათა კავშირი იყო და არა ხალხებისა: იტალიას ჯერ კიდევ არ გაუსწორებია საბოლოოდ ანგარიშები ავსტრიასთან, ტრიესტი და დალმაციის სხვა ქალაქები ჯერ კიდევ ავსტრიის ხელშია, მაგრამ მაინც არავინ მოელოდა, რომ ავსტრიის წინააღმდეგი მოძრაობა ასე ძლიერი იქნებოდა.

დემონსტრაციები დაიწყო პირველად ჩრდილოეთ იტალიაში და შემდეგ მთელ სამეფოსაც მოედო. ავსტრიის საკონსულოების წინ დასწვეს ავსტრიის დროშები და გერბები, ზოგგან ფანჯრებიც ჩალეწეს. იტალიის მთავრობა ბევრსა სცდილობს ხალხი დააშვიდოს, მაგრამ ვერას გამხდარა. ავსტრია-იტალიის დამოკიდებულების ასეთი გამწვავება გამოიწვია ინსბრუკში მომხდარ დემონსტრაციამ იტალიელების წინააღმდეგ: ავსტრიის მთავრობამ, როგორც იქმნა, დააკმაყოფილა თავის ქვეშევრდომ იტალიელების სურვილი და ინსბრუკის უნივერსიტეტში რამდენიმე იტალიური კათედრა გახსნა. მაგრამ ლექციების წაკითხვის დღეს გერმანელი სტუდენტები თავს დაეცნენ იტალიელ სტუდენტებს; დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს გარეშე გერმანელებმაც. ამ ამბავმა, როგორც ნათქვამი იყო, დიდი მღელვარება გამოიწვია იტალიაშიაც და დალმაციაშიაც. მღელვარებამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ოფიციოზური იტალიური გაზეთი „კაპიტან ფრაკასა" იძულებული გახდა, სხვათა შორის, შემდეგი ეთქვა: „ავსტრიას არ შეუძლია მოსთხოვოს იტალიას, რომ ძალა იხმაროს მოძრაობის გასაჩერებლად, რადგან არც მთავრობას და არც სამთა კავშირის მომხრე პარტიებს არ შეუძლიათ წინააღმდეგი გაუხდნენ საზოგადოებრივ აზრს".

## ახალი ამბავი

—

◆ წელს სამსახურის ვადა უთავდებათ გორის ქალაქის რწმუნებულთ, ამიტომ ახალ რწმუნებულთა არჩევნები უნდა მოხდეს. ადგილობრივმა მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, არჩევნები 15 ოქტომბრისათვის დანიშნოს.

◆ როგორც გვატყობინებენ, შუშის მაზრაში კალიას გაუფუჭებია 1,500 დესეტინა ნათესი.

◆ **საჩხერიდან გვწერენ:** „მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან ცუდის ამინდებისაგან. მაისი ისე გადის, რომ ერთი მზიანი დღე არ გვინახავს. ავდრებმა დააზარალა სიმინდი, პური და სხვა ნათესობა. თუ ასე გასტანა, ავდარი ხალხს მოსავალზე ხელს აიღებინებს".

◆ ამას წინად ამიერ-კავკასიის **რკინის გზის** გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე და სთხოვა მუშტაიდთან ერთი ნაჭერი ადგილი. თხოულობდა აგრეთვე ნება მიეცა, რომ გამგეობას მუშტაიდის ბაღზე გაეყვანა მტკვრამდე რკინის მილი სახელოსნოებისათვის წყლის ამოსაქაჩავად. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა რკინის გზის გამგეობას, რომ ნება აქვს ბაღზე გაიყვანოს მილი წყლისათვის, ხოლო მიწას ვერ დაგითმობთო.

◆ 30 მაისისთვის დანიშნულია სხდომა **ხორცის დუქნების** გამგე კომისიისა. კომისიამ უნდა განიხილოს: 1) პროექტი ინსტრუქციისა ზეითლების სახელმძღვანელოდ, 2) მოხსენება მირზოევისა ქალაქის დუქნების შესახებ და სხვა.

◆ ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებამ შეატყობინა ტფილისის **საკომერციო სასწავლებლის** სამზრუნველო საბჭოს, რომ იმ შემთხვევაში, როცა საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ფიშერი სამსახურის საქმეებისა გამო სხვაგან წავა, იმისი თანამდებობა უნდა შეასრულოს მასწავლებელმა ალ. მიხ. იაკოვლევმა.

◆ 30 მაისისთვის დანიშნულია სხდომა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოისა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ 19-დან 26 აპრილამდე ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა 13 კაცი.

## ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ კვირას, 25 მაისს, ქალაქის ბაღში გამართა სეირნობა ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. სეირნობას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

◆ ქუთათურ მეეტლეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს: ძალზე დააქროლებენ ეტლებს, ცარიელი იქნება თუ სავსე, სწორე და მოსახვევ ქუჩებში. ერთს კი დაიძახებენ „ხაბარდაო" და გათავდა, თითქოს ამით მოიხადეს ვალი; შემდეგ კიდეც რომ დაეტაკოს ეტლი, მეეტლე მაინც თავის გზას განაგრძობს დანძლევა-გინებით. ერთის კვირის განმავლობაში სამს ასეთ შემთხვევას წავაწყდი: გამოქანებული ეტლი დაეტაკა გამოქანებულსავე გლეხის ურემს და ზედ მჯდომი ურმიანად გადაატრიალა, თუმცა რაღაც განგებით არაფერი დაუშავებია. ცარიელი ეტლი მოსახვევში დაეტაკა ოლქის სასამართლოს ერთს წევრს და განზე გადაისროლა. სანამ უკანასკნელი კანს მოიგებდა, მეეტლე ელვასავით გაჰქრა. წარსულ პარასკევს, როდესაც ქუთაისის ზოგიერთს ქუჩებზე ტბა არ იყო, ეტლი დაეტაკა შეშით დატვირთულ ურემს და ძირს მოსტეხა; თანაც მეეტლემ ორიოდე მათრახი უჭირა მეურმეს და არხეინად გაუდგა გზას. რაც შეეხება ნიხრს, იმათთვის ხომ იგი არ არსებობს: როგორც უნდათ, ისე იქცევიან. საჭიროა პოლიცია მიაქცევდეს ყურადღებას იმათ თავგასულობას.

◆ წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკის გატეხვის შემდეგ ბაღს მიაქცია პოლიციამ ყურადღება და თითქმის ყოველ ღამე ყარაულობს. 23 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, პოლიციამ შეიპყრო სამი ჯიბგირი, რომელნიც ბაღში იმალებოდნენ,—და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანა.

## რუსეთის ქრონიკა

—

◆ „რუსსკ. ვედ." სწერს: „უმაღლესმა მთავრობამ, როგორც ისმის, დაამტკიცა პროექტი ქალთა უმაღლესს კურსების გადაკე

თების შესახებ. პროექტით, ამ კურსებს პროგრამა და უფლებანი თითქმის ისეთივე ექმნება, როგორც უნივერსიტეტსა აქვს.“

✦ პეტერბურგის ქალთა საპედაგოგიო კურსებზე სწავლა უკვე დამთავრდა. წელს სწავლა 81 ქალმა გაათავა; აქედან სიტყვიერების ნაწილი—28 ქალმა და საფიზიკო-სამათემატიკო—53. სულ კურსებზე სწავლობდა 280 ქალი.

✦ ეგზამენები დამთავრდა მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზედაც. როგორც ვუწყით, ეს კურსები დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა და გაისს პირველად ათავებენ ქალები იქ სწავლას. მეოთხე კურსზე გადასულა სულ 180 ქალი. ამათგან 120 საისტორიო და საფილოლოგიო განყოფილებაზეა, ხოლო 60—საბუნებისმეტყველო და სამათემატიკოზე. პირველ კურსზე 200 თავისუფალი ვაკანსიაა.

✦ 14 (27) მაისს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბრძანა ფინლანდიის სენატს, დაითხოვოს სამსახურიდან ვიბორგის გუბერნიის ხაზინადარი გუსტავ-ვიქტორ ტიმგრენი. როგორც „ფინ. გაზ.“-ი გადმოგვცემს, დათხოვნის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ხაზინადარს რუსული ენა არა სცოდნია.

✦ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის მოხსენების თანახმად, ხელმწიფე იმპერატორმა 9 (22) მაისს კეთილ ინება და უბრძანა ფინლიანდიის სენატს, იზრუნოს, რომ ამიერიდან ფინლანდიის ბანკის საკრედიტო ბილეთები იბეჭდებოდეს პეტერბურგს, სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციაში.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა ფინლიანდიის სენატს, ფინლიანდიის სახელმწიფო ფულიდან წინად გადადებულს გარდა გადასდოს კიდევ 140 ათასი მარკა სტიპენდიების დასანიშნავად იმათთვის, ვისაც რუსული ენის შესწავლა აქვს განზრახული.

✦ „პრავ. ვესტნ.“-ში ვკითხულობთ: „ნოვგოროდისა, პსკოვისა და სმოლენსკის გუბერნიების გუბერნატორთა უქვეშევრდომილესს ანგარიშებში (1899—1900 წ.) აღნიშნული იყო, რომ ებრაელთა მიწათ-მფლობელობა ამ გუბერნიებში ძლიერდებაო. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა შეჰკრიბა ცნობები და აღმოჩნდა, რომ ოთხის უკანასკნელ წლის განმავლობაში ძლიერ იმატა ებრაელთა მიწათ-მფლობელობამ იქ, სადაც ებრაელებს ცხოვრება აღკრძალული აქვთ. ნოვგოროდის გუბერნიაში ებრაელებს უჭირავთ 43,137 დესეტინა, პსკოვისაში—189,782 დ. და სმოლენსკისაში—304,207 დეს. რათა ებრაელების მიწათ-მფლობელობა შემცირდეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა მოხსენება შეიტანა მინისტრთა კომიტეტში იმის შესახებ, რომ ებრაელთა შესახებ დადგენილების გადათვალიერებამდე აეკრძალოთ ებრაელებს ადგილების შეძენა იქ, სადაც ცხოვრება არ შეუძლიანთ.“

✦ „ნოვოე ვრ.“-ში ვკითხულობთ: „ამას წინად ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმს“-მა გაავრცელა სიცრუე, დაბეჭდა შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს წერილი, ვითომცა ბესარაბიის გუბერნატორთან გაგზავნილი. ამ ფალსიფიკაციას აზრად ისა ჰქონდა მხოლოდ, რომ ინგლისის საზოგადოება აემხედრებინა რუსეთის მთავრობის წინაამდეგ. რაღა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობა ამ სიცრუეს უპასუხოდ ვერ დასტოვებდა. ეხლა იმავე გაზეთიდან ვტყობილობთ, რომ პეტერბურგელი კორესპონდენტი „ტაიმს“-ისა ბ-ნი ბრაგამი იძულებული გამხდარა, თავის სურვილის წინაამდეგ, რუსეთიდან წასულიყო, რადგან ბრაგამი ყველა საშუალებასა ხმარობდა რუსეთისა და ინგლისის ურთი-ერთობის გასამწვავებლად. ამით აშკარაა, რუსეთის მთავრობას უნდა, არ დაირღვეს რუსეთსა და ინგლისს შორის კეთილი განწყობილება. იმედია, ინგლისის მთავრობაც ამ თვალით შეხედავს საქმეს.“

✦ პეტერბურგში არსებობს კაცთ-მოყვარე საზოგადოება. მეტად კარგი აზრი მოსვლია ამ საზოგადოებას: განუზრახავს პეტერბურგსა და მოსკოვში ორ უზარმაზარ სახლის აგება, სადაც 600 იაფ-ფასიანი სადგომი უნდა იყოს მშრომელ ხალხისათვის. თითო სადგომში იქმნება ერთიდან სამ ოთახამდე. ერთი ოთახი ხუთი მანეთი ეღირება. ამასთან მიეცემა შეშა, სამზარეულო (სანახევროდ) და ცხელი წყალი. ევროპის დიდ ქალაქებში კარგა ხანია ასეთ შენობების აგებას შეუდგნენ. საყურადღებო ის არის, რომ ამგვარ სადგომებს ქველმოქმედებისა არა აცხიათ-რა. ამშენებელნი ყოველთვის იმდენ ფულს იღებენ, რომ ყოველ ხარჯს უძლვებიან და ამას გარდა საკმაო პროცენტიც რჩებათ. ურიგო არ იქმნება, ამგვარი სახლი აგონ ტფილისშიაც, სადაც ამ ბოლო დროს საშინლად აიწია სახლების ქირამ.

✦ ამას წინად ვწერდით, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საისტორიო და საფილოლოგიო სასოგადოებას აზრად აქვს საბერძნეთში წავიდეს საექსკურსიოდაო. ეხლა საბოლოოდ გადაუწყვეტიათ ამ ექსკურსიის საქმე. სტუდენტებთან ერთად მიდიან პროფესორები: კლიუჩევსკი, ნიკიტსკი, ლოპატინი, ანუჩინი, ოგნევი, მოსკოვის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე დავიდოვი, პრივატ-დოცენტები: დეკანოზი პოპოვი, ბოგოსლოვსკი და ხახანაშვილი. თითო კაცს მგზავრობა დაუჯდება 100 მანეთად. საერო განათლების სამინისტრომ ამ ექსკურსებისათვის გადასდო 3000 მანეთი.

✦ რკინის გზის უწყებას განუზრახავს შეიმუშაოს რკინის გზის მოსამსახურეთათვის ეგრედ წოდებული სადისციპლინო წესდება. ამ წესდებაში დაწვრილებით გამორკვეული იქმნება მოსამსახურეთა ურთი-ერთობა და აგრეთვე დამოკიდებულება მოსამსახურეთა და საზოგადოების შორის.

✦ პეტერბურგში ბიბლიოგრაფიის მოყვარულთა შორის შესდგა წრე, რომელსაც განუზრახავს გამოსცეს რუსეთის ცნობილ მწერალთა თხზულებანი, ისე კი, რომ ამ გამოცემებს ტეხნიკის მხრივ არავითარი ნაკლულევანება არა ჰქონდეს. გამოცემა სურათებიანი იქმნება.

✦ გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ იმ მოიჯარადრეებს, რომელნიც კარგად არ უსწორდებიან მუშებს, რკინის გზის გამგეობებმა აღარავითარი საქმე აღარ მიანდონ ხოლმე.

✦ ბ-ნ მოლოსტკოვს საყურადღებო ცნობები შეუკრებია ლევ ტოლსტოის თხზულებათა შესახებ. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, ტოლსტოის თხზულებანი სხვა-და სხვა ენაზე გამოსულა 20—25 მილიონ ცალად. თუ ამას დრო-გამოშვებით გამოცემებში დაბეჭდილ თხზულებებს მიუმატებთ, ეს რიცხვი 30—40 მილიონამდე ავა.

## პრესსა

„რუსკ. ვედ.“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი იმ დღიურ მუშების შესახებ, რომელნიც ქარხნებში არ მუშაობენ. ასეთნი არიან: ბარგის მტვირთავნი, ქვის მთლელნი, მღებავნი და სხვანი. ავტორი სწერს, რომ ამ მუშათა შესახებ რუსეთში არავითარი სტატისტიკა არ მოიპოვება. მთავრობამ, საზოგადოებამ და მწერლობამ მთელი თავისი ყურადღება ქარხნის მუშებს მიაქცია. ამათთვის არის კანონები, საქარხნო ინსპექცია, პირველთათვის-კი არაფერია. ავტორს დიდად და დიდად საჭიროდ მიაჩნია მუშაობისა და ურთიერთობის განწესრიგება ამ მუშათა სფერაშიაც. ამათ მუშაობის მეტად მძიმე პირობებს ყურადღებას არავინ არ აქცევს. აი, მაგალითებიც.

> ორეხოვ-უევში ტორფის ჭაობებში სამუშაო დრო იწყება დილის 3—4 საათიდან და თავდება საღამოს 8—9 საათზე. ამ მუშაობისათვის ზაფხულის განმავლობაში მუშამ უნდა აიღოს 50—60 მან. საცხოვრებელი ბინა საჯინიბესა ჰგავს. ხეირიანი სასმელი წყალი მუშებს არ მოეპოვებათ; პირს იბანენ ჭაობის წყლით. ამ ჭაობის ჭუჭყიანი და დაფლეთილ-დაგლეჯილი მომუშავე ქალაქის ქარხნის მუშასაც-კი ველურ კაცად მოეჩვენება. მუშებს სოფლებში ქირაობენ ზამთრობით. გაპირვების დროს, როდესაც გლეხი ყველა პირობაზე თანახმაა, ოღონდ ცოტაოდენი ბე მიიღოს.
>
> ოდესსაში ნავთსადგურის მუშათა შორის 70% ღამის თავშესაფარებში სცხოვრობს. აქაც სახეირო საქმე იჯარადარს უვარდება ხელში, რომელსაც მოგების ერთი მესამედი რჩება. მეტად ძნელია მუშაობა გემის ხორბლით დატვირთვის დროს. მუშაობა უხდება ისეთ მტვერში, რომელსაც შედეგად უსათუოდ ხველა და გულის ავადმყოფობანი მოსდევს. ავადმყოფობის ან უბედურების დროს მუშა ქუჩაში რჩება ულუკმა-პუროდ, უსახლკაროდ. ამ მუშათა ყოფა-ცხოვრების გამომკვლევი, ექიმი ნარკევიჩი დაჟინებით თხოულობს, გააწესრიგონ დამტვირთველთა დაქირავების პირობანი, შემოიღონ დაზღვევა, მოაწყონ სადგომები და სხვა, მაგრამ ყურს არავინ უგდებს.

ასეთივე მუშაობის პირობანია კასპიის ზღვის ნავთსადგურებში და გემებზე.

> უკეთესი არ არის არც იმ მუშების ყოფა-ცხოვრება, რომელნიც შენობების აგებაზე მუშაობენ. ამას წინად გადავათვალიერეთ ერთი პირობის წერილი, იჯარადრის მიერ მუშებთან დადებული. ამ პირობის ძალით მუშები დაქირავებულნი არიან პირველ მაისიდან სექტემბრამდე. თვეში თვითო მუშას უნდა მიეცეს 20-დან 35 მანეთამდე, მაგრამ ძალიან იშვიათია, რომ მუშამ ამის ნახევარი და ხშირად მესამედი მიიღოს და აი რატომ. ჯერ-ერთი: ჯამაგირის გასწორება მუშაობის დამთავრების შემდეგ ხდება, აგვისტოში; მანამდე-კი მუშას საკვებად კვირაში ეძლევა მანეთ ნახევრიდან ორ მანეთამდე. მეორე—ათასი ჯარიმაა დაწესებული; ურჩობისთვის, მაგალითად, იჯარადარს შეუძლიან დააჯარიმოს 2 მანეთით. მერე, რა დაუშლის იჯარადარს, რომ ყოველ დღე მუშას ურჩობა დასწამოს? მესამე—მუშებს ერიცხებათ იმ დღეების ჯამაგირი, როდესაც წვიმებია ან ავად არიან. ყველა ამას თუ ვიანგარიშებთ, მუშის ჯამაგირი 10 და 15 მანეთს ძლივს შეადგენს. სამუშაო-კი ძნელია. 15 აგვისტომდე სამუშაო დროდ 13 საათი ითვლება, 15 აგვისტოდან-კი—15 საათი. ჩვეულებრივ იჯარადარნი მუშებს გაზაფხულზედვე ქირაობენ და აძლევენ ბედ მანეთ ნახევარს ან ორ მანეთს. თუ დაქირავებულმა მუშაობა აღარ მოისურვა, უნდა გადაიხადოს ბე და ჯარიმა 30 მანეთი. იჯარადარი არაფერში პასუხის მგებელი არ არის. სხვათა შორის, პირობაში ასეთი მუხლიც მოიპოვება: „მუშა უნდა ერიდოს ყოველ უბედურ შემთხვევას. თუ შეემთხვა რამე, უფლება არა აქვს იჯარადარს მოსთხოვოს ფული.“

⁂

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ევროპიელნი ქრისტიანობასა და „ცივილიზაციას“ ჩინეთში ცეცხლითა და მახვილით ავრცელებენო. საკვირველი აღარ არის თუ მისიონერთა ასეთ „მოღვაწეობის“ შემდეგ ჩინელების გული სიძულილითა და მტრობით ივსება ევროპიელთა მიმართ. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ერთი ჩინური გაზეთი, „ძუო-ვაი-ჟიბაო“.

> შენ-ძინ-პუს ოლქიდან როტის უფროსმა გაოკუნ-უმ აცნობა თავისს უფროსს, გენერალს ხეს, რომ მთვარის მე-12 რიცხვს ერთი მისიონერი, რომელმაც თან წამოიყვანა მრავალი შეიარაღებული ქრისტიანი, შეესია სამ სოფელს და იარაღით ხელში ძალად ქრისტიანობა მიაღებინა მცხოვრებთ. ერთი ბებერი დედაკაცი, დედა მამასახლისისა, ქრისტიანებმა ძალად წაათრიეს, როდესაც ამ ბებერმა უარი სთქვა ქრისტიანობის მიღებაზე. ჩაიდინეს სხვა მრავალი უწესოება და ძალ-მომრეობაც.

შემდეგ გაზეთი სწერს, როგორც გამოძიებამ გამოარკვია, ყველაფერი მართალი აღმოჩნდა. აღმოჩნდა, სხვათა შორის, ისიც, რომ ახირებულ მისიონერს ჩინელთა რამდენიმე სამლოცველო მიუსაკუთრებია, რომ შემდეგ ეკკლესიებად გადაეკეთებინა. გაზეთი ამბობს, გალაღებულ მისიონერთა და ქრისტიანეთაგან მშვიდობიანი მცხოვრებნი დიდად შეწუხებულნი არიან. ეს ვაჟბატონები თავს ესხმიან სოფლებს, აწიოკებენ სახლებს, იტაცებენ ქონებას და ათას სხვა სისაძაგლეს სჩადიანო.

⁂

ყველამ კარგად იცის, რა ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მარტო ეჭვით სრულიად უდანაშაულო კაცს იჭერენ და აპატიმრებენ რამდენისამე თვით. შემდეგ-კი, სასამართლოში, ირკვევა, რომ ასეთი კაცი უდანაშაულო და ცამდე მართალია. „სუდებ. გაზ.“ სწერს, რომ ამ გვარ საქმეების რიცხვი წლითი-წლობით იზრდებაო. 1901 წელს გამომძიებლებმა 214,051 საქმე გამოიძიეს. აქედან 127,664 საქმე, ე. ი. ნახევარზე

# ფელეტონი

## ბავშვის მოვლა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

### წერილი III.

მეორე წერილში, ქალბატონო ჩემო, მოგახსენეთ, რომ უმთავრეს საჭმელს ძუძუმწოვარა ბავშვისათვის შეადგენს დედის რძე მეთქი. მაგრამ ამის თქმა საკმარისი არ არის. აქ ჩვენთვის საჭიროა ისიც ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა მისცეს დედამ ძუძუ, რა დროს? ძუძუწოვების დროს რას უნდა მიაქციოს იმან ყურადღება? უამისოდ-კი დედა იმ კალატოზს ეგვანება, რომელიც მშვენიერი ღირსების მასალას მოაგროვებს სახლის ასაშენებლად, გეგმასაც საუცხოვოს მოიპოვებს და საქმეში კი ვერ მოიხმარებს რიგიანად ვერც ამ საუცხოვო მასალას და ვერც საუკეთესო გეგმას. აქ კარგ მასალად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ დედის რძე და შენობად-კი—ეგ თქვენი პაწაწინა არსება, რომელზედაც ასე აღტაცებით ლაპარაკობთ თქვენ წერილებში. წარმოვიდგინოთ, ქალბატონო ჩემო, რომ თქვენს ემიკოს აძლევთ ძუძუს მაშინ, როდესაც იგი ტირის, როდესაც მას რაღაც აწუხებს; წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ერთხნობით ბევრი რძეც მოაწოვეთ.

რა ხდება მაშინ? ნეტა ვიცოდე, დაფიქრებულხართ ამაზე თუ არა? აქ იგივე ხდება, რაც კალატოზს მოუვიდა, რომელმაც საუცხოვო მასალა მოაგროვა და რიგიანი სახლი კი ვერ ააშენა უცოდინარობისა გამო. იქ სახლს სიმკვიდრე აკლია, აქ თქვენს შვილს სისაღე, თუმცა შეგვეძლო აღნიშნული მასალის შემწეობით ყოველ ჟამს დღეგრძელი გვემყოფებინა იგი. მაშასადამე აქ საჭიროა დედამ იცოდეს ყოველი ის პირობა, თუ რა დროს შეერგება ბავშვს დედის ძუძუ; და სწორედ ამ პირობაზე მინდა, თუ თქვენი ნებაც იქმნება, ორიოდე სიტყვაც მოგახსენოთ კიდეც.

პირველად ყოვლისა ეს უნდა ვიცოდეთ, რომ, დაიბადება თუ არა ბავშვი, მაშინვე არ უნდა მისცეს დედამ ძუძუ. აქ საჭიროა დაისვენოს როგორც მელოგინემ, ისე მისმა ახალ-დაბადებულმაც; შემდეგ კი, ე. ი. 8 საათის არა ადრე და 12 საათის არა უგვიანეს, საჭიროა ბავშვისთვის ძუძუს მოწოვება. წინად 36 საათის შემდეგ მიაწვდიდნენ ხოლმე ბავშვს ძუძუს იმ მოსაზრებით, რომ სხენი, რომელიც ქალს ფეხმძიმობისას მოუგროვდა, გაჰქრეს და მისი ადგილი რძემ დაიჭიროსო. მაგრამ, როგორც ექიმების უკანასკნელმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, ეს სხენი სრულიადაც არა ყოფილა მავნე და თუ ექიმ ვ. ფ. ზიბოლდს დაუჯერებთ, თურმე მარგებელიც-კი ყოფილა*). მივაქცევ თქვენს ყურადღებას ერთს გარემოებასაც—ერთს დიდ შეცდომას დედისას—ვინემ მას ძუძუში რძე ჩაუდგებოდეს—ხშირად, ძალიან ხშირად, ახალ-დაბადებულს აძლევენ ხოლმე შაქრის წყალს, კამისა და გვირილას ჩაის და ან კიდევ სხვა სასმელებს, რომლებიც მავნებლობის მეტს არაფერს სიკეთეს არ აძლევს ბავშვს. დოკტორი ზიბოლდისა თქმის არ იყვეს—ან რა საჭიროა ამ სასმელების ძლევა, როდესაც ახალ დაბადებულს სრულიად კარგად შეუძლიან 8—12 საათი გასძლოს უსაჭმელოდ და ამ ხანის განმავლობაში მისი უსაჭმელოდ დარჩენა სიკეთესაც მოუტანს ბავშვს, რადგანაც უფრო მადიანად ჩაეკონება იგი ძუძუს*). მხოლოდ აქ კი საჭიროა დედამ ყოველ-დღე ჩვეულობრივ ცივ წყალში დასველებულ ტილოთი გაიბანოს ხოლმე ძუძუები და ეს საქმე რომ უფრო ადრე—ორსულობის უკანასკნელ თთვეებში დაიწყოს, ამას ხომ არა ემჯობინება-რა.

დაბადების პირველსავე დღეებში უნდა ყურადღება მივაქციოთ, რომ წეს-რიგზედ მიმდინარეობდეს კვება ბავშვისა. თუ დედა წარამარა აწოვებს ძუძუს—ამ გარემოებას ძალიან ცუდი შედეგი აქვს როგორც დედისთვის, ისე ბავშვისთვისაც. ვთქვათ, რომ თქვენს ემიკოს ძალიან ხშირ-ხშირად აწოვებთ ძუძუს, ბავშვი ამ გარემოებით უეჭველად მოიშლება ჯანში; და თუ ნაკლებს საჭმელს მიაწვდით, ისე ნაკლებს, რომ მისი მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული—ეს გარემოებაც, უეჭველია, დაადნობს და დაჰკნობს ბავშვს. მაშასადამე, აქ ზომიერება საჭიროა და ეს ზომიერება უნდა დაცულ იქმნას ბოლომდის, თუ გინდათ, რომ ბავშვი ჯან-საღად იყვეს და არც თქვენ შესწუხდეთ მისის მუდამ-ჟამ ავადმყოფობით.—მივაქცევ თქვენს ყურადღებას ერთს სამწუხარო მოვლენას, რომელსაც გთხოვთ, რომ დიდი ყურადღება მიაქციოთ, ქალბატონო, და ყოველ შემთხვევაში არ დასტოვოთ უყურადღებოდ ეს ბევრი დედებისათვის გაუგებარი მოვლენა. მე მოგახსენებთ ბავშვის ჰყივილ-კივილზედ, რომელიც დედას ძალიან აშინებს, ჟრუანტელსა ჰგვრის და ყველა ამ მოვლენას თავისებურადა ჰხსნის:

---

*) О вскармливанiи грудного ребенка и уходѣ за нимъ первый годъ жизни—დოკტორი ვ. ფ. ზიბოლდისა.

*) Золотая книжка—სტატია ამმონისა. მაწოვარი დედა და ძუძუ მწოვარა ბავშვი.

მეტი, შემდეგ სრულიად მოისპო, რადგან ეჭვი უსაფუძვლო და უადგილო აღმოჩნდა. გაზეთი განაგრძობს:

ზნეობრივ ტანჯვას, შიშსა და ათას წვალებას ითმენენ უდანაშაულოდ პასუხის გებაში მიცემულნი და ძლიან ხშირად საქმის მოსპობამდე დაპატიმრებულნი. ასეთ უიღბლოთა რიცხვი ათი-ათასობით ითვლება. ვინ უნდა უზღოს ამ უდანაშაულოებს ზნეობრივი ტანჯვა და ზოგჯერ ქონებრივი ზარალი? ამ გვარ ტანჯვასა და ზარალს წვრილმან საქმედ ვერ ჩავთვლით. დასავლეთ ევროპაში ზოგგან კანონმდებლობამ საჭიროდ სცნო ასეთ უდანაშაულოთა დაჯილდოვება...

## „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედება

საზოგადოებას 1902 წლის 1 იანვრისათვის ჰყოლია 752 წევრი. საანგარიშო წელს მოჰმატებია 167 წევრი, ასე რომ ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 919 წევრი: 6 საპატიო, 68 დამფუძნებელი და 845 ნამდვილი წევრი. გამგეობას 1902 წლის განმავლობაში ჰქონია 41 სხდომა; არ შემდგარა 4, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. 531 განსახილველ საქმიდან გამგეობას განუხილავს 362 საქმე.

საზოგადოებას საანგარიშო წელს ჰქონია იგივე სკოლები, რაც წინა წელს. ბათუმის სკოლაში სწავლობდა 201 მოსწავლე. სკოლას შემოსავალი ჰქონია: 3274 მან. 86 კაპ., დახარჯულა ამდენივე. ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სწავლობდა 483 მოსწავლე. წლის განმავლობაში მოსწავლენი დაჰკლებიან სულ 19,800 გაკვეთილს. სკოლას შემოსავალი ჰქონია ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან 25,940 მან. და დახარჯულა ამდენივე. წინარეხის სკოლაში ყოფილა 46 მოსწავლე, დახარჯულა 423 მან. 89 კაპ.; დიდ-თონეთის სკოლაში ყოფილა 69 მოსწავლე; ძველ-სენაკის სკოლაში—164 მოსწავლე, ქუთაისის ბანკის საშუალებიდან სკოლაზე დახარჯულა 7940 მან.; ხელთუბნის სკოლაში 36 მოსწავლე, დახარჯულა 567 მანეთი; კავკავის სკოლაში ყოფილა 178 მოსწავლე, დახარჯულა 4968 მან. გომარეთის სკოლაში 40 მოსწავლე, დახარჯულა 556 მან. 11 კაპ. საზოგადოებას თავის სკოლებში ჰყოლია საანგარიშო წელს სულ 1215 მოსწავლე; სწავლა დაუსრულებია 116 მოსწავლეს, 229 ბავშვი დარჩენილა იმავე კლასებსა და განყოფილებაში, ხოლო გადასულა—870 მოსწავლე. სახალხო სკოლების დირექციის წარმომადგენელთ დაუთვალიერებიათ საზოგადოების სკოლები და საზოგადოდ კმაყოფილნი დარჩენილან. სკოლების შემოსავალი ყოფილა სულ 46,993 მან. 18 კაპ., ხარჯი—44,178 მან, 11 კაპ.

საზოგადოებას ჰქონდა 11 წიგნთ-საცავ-სამკითხველო. სამკითხველოსა და საკვირაო სკოლებისთვის საზოგადოებას ფულად შემწეობა აღმოუჩენია 807 მან. 80 კაპ., ხოლო წიგნებითა და სასწავლო ნივთებით 370 მან. 29 კაპ. სულ დახარჯულა 1178 მან. 9 კაპ. წიგნთ-საცავსა და მუზეუმზე დახარჯულა წელს სულ 2049 მან.

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას დაუბეჭდია 6085 მან. 50 კაპ. სხვა და სხვა წიგნი. ამ წიგნებთან ერთად სულ საზოგადოებას ჰქონია 41,934 მან. წიგნი. საზოგადოებას მაღაზიაში გაყიდულა 4793 მან. და 33 კაპ. წიგნი, ხოლო ქალაქს გარედ 6337 მან. 96 კაპ. წიგნი. ნისიად მიეცა წიგნები სხვა და სხვა დაწესებულებას 2956 მანეთისა და 76 კაპ. და სხვა. სულ ამნაირად გაიყიდა საზოგადოების წიგნთ საწყობიდან 20,800 მან. 57 კაპ. წიგნი. წმინდა მოგება საზოგადოებას წიგნების გაყიდვით დარჩენია 1,688 მან. 40 კაპ.

საზოგადოებას ფოტოგრაფიიდან შემოსვლია 4353 მან. 76 კაპ., ხოლო დაუხარჯნია 5281 მან. 69 კაპ. უზარალნია 537 მან. 68 კაპ.

საანგარიშო წელს საწევრო ფულისა შემოსვლია 2902 მან. 87 კაპ., ყულაბებიდან 230 მან., შემოწირულებანი 2885 მან. 14 კაპ., წიგნების ვაჭრობიდან 1688 მან. 40 კაპ. და სხვ., სულ 19,715 მან 82 კაპ. საზოგადოებას დაუხარჯნია სულ 24486 მან. 48 კაპ., მეტი 4770 მან 66 კაპ.

როგორც ვუწყით, საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია პირველ ივნისისათვის.

# თეატრი

26 მაისს რკინის გზის სახელოსნოების თეატრში სახალხო სცენის მოყვარეთ, არტისტის სვიმონიძის მონაწილეობით, წარმოადგინეს იტალიანური მელოდრამა „ორი დარაჯი“. მოთამაშენი კარგად მომზადებულიყვნენ, ამიტომ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და დამსწრეთაც ძლიან მოეწონათ. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები განსაკუთრებით ქ-ნმა რომანიშვილისამ, ბ-ნებმა სვიმონიძემ, გოცირიძემ და ჯაბაურმა.

როგორც გავიგეთ, ეს წარმოდგენა უკანასკნელი იყო ამ სეზონში.

—

**ქუთაისი.** 25 მაისს ქალაქის თეატრში მომღერალმა კრ. საყვარელიძემ, რომელიც კონსერვატორიაში აპირებს წასვლას, კონცერტი გამართა. კონცერტში მონაწილეობას იღებდა სიმღერის მოყვარულთა ბათუმელი გუნდი, რომელშიაც ოცამდე კაცი იყო. კონცერტი სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა; თითო განყოფილებაში რვა სასიმღერო იყო; აქედან 11 სასიმღერო ბ-ნ საყვარელიძის მუსიკა იყო, დანარჩენები კი ბ-ნთ რატილის, ბალანჩივაძისა, ჩხიკვაძისა და ხალხური. კონცერტმა საზოგადოდ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. მოეწონა საზოგადოებას: ბ. რატილის „შევსვათ ხელადით ღვინო“, საყვარელიძის „ვლესავ და ვლესავ, ნამგალო“, „კინტოური“, „ლეკური“ და „ადამიანი“. ბ-ნ ბალანჩივაძის „იავარადა“ და ხალხური „სტორიან თუშის ქალები“. ეს სიმღერები საზოგადოების თხოვნით ხორომ გაიმეორა. კონცერტს საზოგადოება ძლიერ ნაკლებად დაესწრო.

—

რუსეთისა და ევროპის დიდ თეატრებში ძალიან იშვიათად სდგამენ ახალ პიესებს. ჩვეულებრივად რომელსამე პიესას დაიწყებენ და იმეორებენ სამოცჯერ, ოთხმოცჯერ, ასჯერ. პეტერბურგის საიმპერატორო სცენაზე გადაუწყვეტიათ, რომ მომავალ სეზონის განმავლობაში დასდგან სულ ხუთით-ხუთი ახალი პიესა. რაც თქმა უნდა, ამ ხუთ პიესას კარგად მოამზადებენ.

—

მომავალ სეზონში პეტერბურგს აპირებს მისვლას ინგლისელთა შესანიშნავი ტრაგიკოსი ირვინგი. ირვინგი პეტერბურგში რამდენსამე წარმოდგენას გამართავს.

დონ-გალიანი

## ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

შაბათს, 24 მაისს, დაიწყო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. დ. ო. ნიჟარაძე. კრებას რაღაც უსიცოცხლობა, სიზანტე ეტყობა. რწმუნებულები ნაკლებად ესწრებიან; გარეშე საზოგადოებისა და ქალების ჭაჭანება სულ არ არის. ერთის სიტყვით, ყველაფრიდანა სჩანს, რომ წელს არჩევნებს არ მოელიან. მართალია, უნდა აირჩიონ ზედამხედველ კომიტეტის ორი წევრი, მაგრამ ეს არჩევნები არავის არ აინტერესებს. ორატორები მჭევრმეტყველებით თავს არ იტეხავენ და არც მაინცა-და-მაინც თავსატეხი კითხვები აქვთ გასარჩევი. როგორც სიიდანა სჩანს, კრებამ უნდა განიხილოს 10 საქმე, რომელთაგან ყურადღებას მხოლოდ ორიოდე იქცევს; ესენია: ა) ბანკში და სათავად-აზნაურო სკოლაში მოსამსახურე პირთათვის საპენსიო კასის წესდების განხილვა და დამტკიცება და ბ) გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება შესახებ იმისა, რომ მოემატოს დამფასებელ კომისიის წევრთა რიცხვს და დაინიშნოს მიწის მზომლის ერთი თანაშემწე.

განიხილეს და დაამტკიცეს ბანკის მოქმედების 1902 წლის ანგარიში და გამგეობის მოხსენება, რომლებიდანაცა სჩანს: საანგარიშო წლის განმავლობაში ბანკის საზოგადო ალებ-მიცემა ყოფილა 15,154,243 მან. და 50 კაპ.,—წინა წლისასთან შედარებით 5,370,892 მ. და 72 კაპეიკით მეტი; ბანკს გაუცია გრძელ-ვადიანი სესხი 25 სოფლის მამულის გირაოზე—26,400 მანეთისა, წინა წელთან შედარებით 10,800 მ. მეტი; ქალაქის 163 მამულზე—959,100 მან., წინა წლისაზე 787,700 მანეთით მეტი. მოკლე-ვადიანი სესხი გაუცია 4 მამულის გირაოზე—11,800 მანეთი, 6,600 მანეთით მეტი წინა წლისაზე. გაცემულ სესხის რაოდენობა ყველაზე მეტი ხვდება ქალაქ ბათუმს—508,100 მან., შემდეგ ქუთაისს—321,000 მან., ამათ მოსდევს—ტფილისი—75,000 მან., შემდეგ ფოთი—27,300 მან. და ყველაზე ნაკლები სესხი აუღია ახალციხეს—4,000 მანეთი. დაგირავებული მამულები დამფასებელ კომისიას შეუფასებია 2,063,650 მან., ბანკის გამგეობას კი 1,624,290 მანეთად. საანგარიშო დროს განმავლობაში ბანკს მოუხდენია ვაჭრობა 67 მამულის გასასყიდად, რომელთაგან 56 მამული გაყიდულა, 11 კი ისევ ბანკზე დარჩენილა და ღირს დარჩენილი მამულები 15,000 მანეთზე მეტი. 1902 წლის განმავლობაში ბანკს ჰქონია მთელი მოგება 120,017 მან. და 23 კაპეიკი, რომელიც წინა წლის მოგებას აღემატება 2,004 მან. 38 კაპეიკით; წმინდა მოგება ყოფილა 62,925 მანეთი და 72 კაპეიკი, წინა წლის მოგებასთან შედარებით 18,625 მან. და 24 კაპეიკით მეტი.

გამგეობის მოხსენებაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ, რომ მთავრობის წინაშე აღძრულ შუამდგომლობათაგან შეწყნარებულ იქმნა: ა) გრძელ-ვადიანის სესხის გაცემა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის მამულების გირაოზე; ბ) ყოველგვარ არსებულ ვადიან სესხის გაცემა; გ) შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის წევრებად ირჩევდნენ როგორც ბანკის რწმუნებულთ, ისე ყველა წევრს; დ) შუამდგომლობა, რომ ბანკმა განუსაზღვრელი სესხი გასცეს 500,000 მანეთის ნაცვლად; ე) შუამდგომლობა, რომ ბანკს ნება მისცემოდა ხუთის წლის შემდეგ ხელმეორედ შეეფასებინა ქუთაისისა და სოხუმის მამულები. დანარჩენი შუამდგომლობანი-კი, მაგალითად: ბანკის მოქმედების გაფართოება განჯის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში, დამფასებელ კომისიის წევრთა რწმუნებულთა კრებისაგან არჩევა და სხ.—მთავრობას არ შეუწყნარებია.

კამათი გამოიწვია ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის მოხსენებამ შესახებ იმისა, რომ დამფასებელ კომისიის წევრთა რიცხვს მოჰმატებოდა ერთი კაცი (ეხლა 4 დამფასებელია) და დანიშნული ყოფილიყო მიწის მზომლის ერთი თანაშემწე. უმეტესობა წინააღმდეგი იყო ამ აზრისა და მოხსენება უყურადღებოდ დასტოვეს. მხოლოდ საჭიროდ დაინახეს, რომ ბანკმა იყოლიოს ტფილისში ერთი აგენტი, რომელიც გამგეობას უკვე დაუნიშნავს ამ რამდენისამე თვის წინად.

განიხილეს და დაამტკიცეს მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელსაც გამოაკლდა მხოლოდ ერთის დამფასებლისა და მიწისმზომლის ერთის თანაშემწის ჯამაგირი 2,000 მანეთი, მაგრამ ამ ორი ათასი მანეთიდან 1000 მანეთი გადაეცა ზედამხედველ კომიტეტს მოულოდნელ ხარჯის დასაფარავად.

რაც შეეხება ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის მოხსენებას მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის დაარსების შესახებ, ეს საკითხი განსახილველად გადაეცა კომისიას, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარმოუდგინოს კრებას 25 მაისს. კომისიის წევრებად აარჩიეს: თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, მ. ა.

---

ან ავადმყოფობას აწერს, ან არა და უფრო ხშირად შიმშილს და სჩრის წარა-მარა ძუძუს საცოდავ ბავშვსა. და ეს კი ავიწყდებათ, რომ ყვირილ-ჭყივილი ბავშვისა—ეს მისი ლაპარაკია, მისი ტიკტიკი; იგი ინსტიქტურად გიზიარებთ თავის გრძნობას, გელაპარაკებათ რაღასაც, გემუდარებათ და თქვენ კი ვერ მიმხვდარხართ ამას და ძუძუს ჩატენით პირს უკუმავთ, უარყოფთ მის გრძნობების გამოხატვას.

ხანდახან კი ბავშვი ჭყივის, სტირის იმისთვის, რომ იგი მოწყენილია, მას უნდა გართობა, მდგომარეობის გამოცვლა, სხვა და სხვაობა; მიდით მასთან, მიუალერსეთ, გაშინჯეთ იგი, იქნება ცუდათა წევს ეს პაწაწინა არსება, იქნება კუჭის მოშლილობა აწუხებს, იქნება მეტის, მეტად შებოჭვილია იგი მჩვრებით და ამისთვის თავისუფლად ველარ მოძრაობს იგი.—„რომ დარწმუნდეთ, რომ ბავშვის ჭყივილ-კივილი ყოველთვის შიმშილით არ წარმოსდგება, ამბობს ამმონი, საათობით აძლიეთ ხოლმე ძუძუ ბავშს. სრულიად საკმარისია ბავშმა დღე-ღამეში 6-9 ჯერ მოსწოვოს ძუძუ, სამ საათში ერთხელ; ბოლოს კი რაც შეიძლება იშვიათად. ამ საათობით წოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით დედისთვისაც, რომ ღამე მოსვენებით დაიძინოს ხოლმე. მიაჩვიეთ ბავშვი ისე, რომ ღამის 10 ან 11 საათზედ მოაწოვოთ ძუძუ, რომ დილამდის დედა-შვილმა ტკბილად და მოსვენებით დაიძინონ. პირველ ხანებში ეს მეტის-მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ თუ დედამ ხასიათი გამოიჩინა და არ მოაწოვებს ბავშვს, ვინემ დრო არ მოვა, მაშინ კი ყოველი საქმე მოგვარდება. თუ ბავშვსა სძინავს ამ დროს, დეე, ეძინოს, ნუ გაალვიძებთ ამ ბატონს, შიმშილი თვითონ გაალვიძებს და მოგთხოვთ ეს პაწაწინა ძუძუს.“ ექიმმა ზიბოლდმა ასე ამ რიგად გაანაწილა კვება ბავშვისა საათობით:*) 7 საათზედ დილით, მერე 10 საათზედ ისევ დილით, პირველ საათზედ ნაშუადღევს, საღამოს 4 საათზედ; საღამოს 7 საათზედ და ღამე 10 საათზედ. ეს განაწილება ზოგს ცოტა არა სასტიკად ეჩვენება, მაგრამ ცოტა ცდისა და მეცადინეობის შემდეგ ისე მიეჩვევა დედაცა და შვილიც ამ რიგსა და წესს, რომ ბედნიერად ჩასთვლიან თავიანთ-თავს მუდამ ჟამს. აქ ამასაც დავძენ, ბატონო ჩემო, რომ ყოველივე ესეცა და სხვა ზემონათქვამიცა ნაცადი მაქვს ჩემს საკუთარ შვილზედ და დღეს იგი მეათე თვეშია და არც ერთხელ მუცელი არ წამოსტკენია, ფაღარათობა არ ჰქონია და ძლიერაც კარგა დეუძინია როგორც ამას, ისე ამის დედასაც. ამისთვისაც გულითა და სულით გირჩევთ სცადოთ ყველა ეს და ამ რიგად თქვენი საყვარელი შვილი ააცდინოთ მომავალში მაინც რაიმე მოულოდნელ შემთხვევას მაგ პაწაწინა კაცის ცხოვრებაში. და თუ ვინიცობაა, თქვენი ემიკო ღამე დაგიჩვევიათ ძუძუს წოვებას, ამ ჩვეულებასაც შეიძლება ბოლო მოუღოთ, თანახმად ექიმ ზიბოლდის წინადადებისა: თუ ბავშვმა გაიღვიძა ღამე და დაიწყო ყვირილი, ძუძუს მაგივრად მას 1—2 ჩაის კოვზით დაალევინეთ ცივი ადუღებული წყალი, უეჭველად უშაქროდ. ამითი ბავშვი წყურვილს მოიკლავს და მის კუჭს შვება მიეცემა. ამ წესით ბავშვი 7—8 დღის შემდეგ გადაეჩვევა, დაიძინებს მოსვენებით და მომვლელებსაც შვებას მისცემს.

მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც დედის რძეს არა კმარობს ბავშვი; ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ სხვა დამატებითი საკვებავს, რომლისგანაც უპირატესობას ექიმები ძროხის რძეს აძლევენ, თუმცა-კი ბევრი მათგანი თხის რძეს და ვირის რძეს ეტრფიან. მე აქ არ შეუდგები ყველა ამის ჩხრეკას, რადგანაც სხვა-და-სხვა აზრი ექიმებისა და ბავშვების მოკეთეებისა უფრო აგირევენ გზასა და კვალს. ერთი ამას ამბობს და ერთი იმას. ერთი ასე სჯის, მეორე ისე და ყოველ ამის ასაცდენად, მე ჩემს დაკვირვებას და გამოცდილებას დაგიყენებთ თვალ-წინ. ჩემი შვილისთვის 8 თვემდის არაფერი სხვა საჭმელი არ მიგვიცია, გარდა დედის რძისა, 8 თვიდან ამ საჭმელს მიუმატეთ ძროხის რძე, დღეში ჯერ ორჯელ თითო ფინჯანი, მერე სამჯერ და 4-ზე ავედით. გახდა თუ არა ცხრა თვისა—ძროხის რძე დავაცოტავეთ და ამის მაგივრად ნესტლეს ფქვილი შემოვიღეთ; ამ ფქვილში ხორბლის ფქვილიც ურევია, კვერცხლის გულიც, რძეც და შაქარიც და თავისი ნაწილებით ძლიან უახლოვდება დედის რძეს. დოქტორი მორპენის აზრით, რომელმაც ეს ფქვილი სცადა 100 ბავშზედ თავ-შესაფარში, ძლიან კარგი რამ არის ბავშვის საკვებავად. ამ ფქვილიდან ფაფას ვაკეთებთ ხოლმე ისე, როგორც თვით ნესტლე ურჩევს. და ამ ფაფას ისე გემრიელად შეექცევა ჩვენი შვილი, რომ ეხლა ორ კერძიდან სამზედ გადავედით და ვხედავთ კიდეც დიდს სასარგებლოდ. ცოტა ხნის შემდეგ თვითო თოხლო კვერცხსაც მივცემთ დღეში და ცოტაოდენს ხორცის წვენსაც. აი, ქალბატონო, ყველა ის, რაც მე უნდა მეთქვა კვების შესახებ და ახლა თქვენი გამოცდილების საქმეა—როგორ იმოქმედებთ და, იმედია, მალე, ძალიან მალე გამიზიარებთ თქვენს შთაბეჭდილებას.

ალ. ნათაძე

---

*) იხ. О вскар. груд. ребенка и уходѣ за нимъ въ первый годъ жизни; გვ. 17.

ქექოძე, ა. ს. ხაბურზანია და დ. ბ. კვირკელია.

დასასრულ, თანახმად ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის მოხსენებისა, კრებამ დაადგინა ხელახლად აღძრულ იქმნა მთავრობის წინაშე წარსულ წელს არ შეწყნარებული შუამდგომლობანი.

შემდეგ ამისა კრება გადაიდო 25 მაისისათვის.

### 25 მაისი

ოქმის დამტკიცების შემდეგ, კრება შეუდგა საპენსიო კასის წესდების განხილვას. ეს წესდება, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გასასინჯად კომისიას ჰქონდა გადაცემული. კომისიის ერთმა წევრმა მ. ა. ქიქოძემ წაიკითხა წესდების პროექტის ის მუხლები, რომელთა შეცვლაც კომისიას საჭიროდ უცვნია. პროექტი დაახლოვებით ამგვარია:

სადგილ-მამულო ბანკისა და სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურეთ ოცდა ხუთის წლის სამსახურისათვის ენიშნებათ სრული პენსია. თუ ისინი 25 წლის შემდეგ სხვა დაწესებულებაში გადავლენ, ან ისევ დარჩებიან ადგილზე, იმ შემთხვევაში ეძლევათ ნახევარი პენსია. ნახევარი პენსია ეძლევა იმ მოსამსახურეთაც, რომელნიც 10 წლიდან 15 წლამდის იმსახურებენ ხსენებულს დაწესებულებებში, შემდეგ კი ავადმყოფობისა და შრომის შეუძლებლობის გამო იძულებულნი იქნებიან სამსახურს თავი დაანებონ. პენსია ეძლევათ აგრეთვე მოსამსახურეთა ცოლ-შვილსაც მოსამსახურის გარდაცვალების შემდეგ; ცოლს იმ დრომდის, სანამ გათხოვდებოდეს, ან ცხოვრებისათვის სხვა რამ წყაროს იშოვნიდეს; ქალს ოცდა-ერთი წლიდან ცხოვრების რამ წყაროს აღმოჩენამდის, მაგრამ ისე კი, რომ მხოლოდ ოცდა-ხუთ წლამდის ეძლიოს პენსია. საპენსიო კასის საქმეები უნდა განაგოს კერძო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე და იმისი თანაშემწე უნდა აარჩიოს ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა. საჩივრებს პენსიის საქმის შესახებ არჩევს ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული კრება. საპენსიო თანხა შესდგება ბანკის წმინდა მოგების 10 პროცენტისაგან და მოსამსახურეთა ჯამაგირების 5 პროცენტისაგან.

თავ. ჯ. დ. გურიელი იმ აზრისა იყო, რომ მოსამსახურეთ ორის წლის შემდეგაც დაენიშნოთ პენსია იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის გამო რამე უბედურება შეემთხვევათ.

გამგეობის წევრი ვ. ნ. აბულაძე არ დაეთანხმა კომისიის მიერ შესწორებულ წინადადებას, რომ მოსამსახურეთა ქვრივებს და ქალებს ცხოვრების სახსრის აღმოჩენამდის ეძლეოდეთ პენსია, რადგან ეს წინადადება ძლიერ გაურკვეველია და საჭიროა ისევ ძველი რედაქცია დარჩეს. ბ. ზდანოვიჩმა სთქვა: რადგან საპენსიო კასის თანხა უნდა შესდგეს როგორც ბანკის წმინდა მოგების, ის მოსამსახურეთა ჯამაგირების პროცენტებისაგან, ამიტომ საჭიროა კასის გამგეობას ირჩევდნენ თვითონ მოსამსახურენი. თუ ეს არ შეიძლება, უნდა არჩეულ იქმნას კომისია, რომელშიაც შევლენ არჩევით როგორც კასისა, ისე ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის წევრნი. ამასთან ბ-ნი ზდანოვიჩი იმ აზრისაა, რომ სამინისტრო წინააღმდეგი გახდება საპენსიო კასსის დასაარსებლად ბანკის წმინდა მოგების 10 პროცენტის გადადებისა, რადგან ამით შემცირდება ძირითადი და სათადარიგო თანხებიო. ამიტომ ურჩია კრებას, თუ სამინისტრო 10 პროც.-ის გადადებაზე უარს იტყვის, 5 პროც. დავჯერდეთო. ბ-ნს ზდანოვიჩს დაეთანხმა გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი მელნიკოვი და ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. მ. გ. ფალავა.

ცოტა კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: მიღებულ იქმნას წესდებათა პროექტები, კომისიის მიერ შესწორებული, მხოლოდ საპენსიო კასის დასაარსებლად უნდა გადაიდოს 5 პროცენტი.

ს. დ. ჯაფარიძემ წაიკითხა, ვისგან და ვის წინაშე უნდა აღიძრას შუამდგომლობა საპენსიო კასის წესდების დამტკიცების შესახებ. ზოგიერთი იმ აზრისა იყო, შუამდგომლობა უნდა აღძრას „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ სწავლა-განათლების სამინისტროს წინაშე; ბოლოს გამოირკვა, რომ ეს უფლება ეკუთვნის ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომელმაც უნდა მიმართოს შუამდგომლობით პირდაპირ ფინანსთა სამინისტროს.

ამას მოჰყვა დამფასებელთა ინსტრუქციის მე-11 §-ის შეცვლა. ინსტრუქციის ხსენებულ მუხლის ძალით, წინად თუ მამული 10,000 მანეთზე მეტად არა ღირდა, ერთ დამფასებელს შეეძლო დაფასება, 20,000 მანეთამდის—ორს დამფასებელს; ოცი ათას მანეთზე მეტად ღირებულ მამულის შეფასების დროს კი უსათუოდ სამი დამფასებელი უნდა ყოფილიყო. ბანკის გამგეობას საჭიროდ დაუნახავს ხსენებული მუხლი ამგვარად შეიცვალოს: თუ მამული 15 ათას მანეთზე მეტად არა ღირს, ერთ დამფასებელსაც შეეძლოს დაფასება; 30 ათას მანეთამდის—ორს დამფასებელს; 30 ათას მანეთზე ზევით კი არა ნაკლებ სამის დამფასებლისა. კრებამ უმეტესობით მიიღო გამგეობის წინადადება, მხოლოდ დაავალა, რომ მამულების შეფასების დროს, თუ შესაძლებელი იქნება, ორი დამფასებელი მაინც იგზავნებოდეს, იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც მამული 15,000 მანეთზე მეტად არა ღირს. კრებამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ხსენებულ ინსტრუქციის მე-57 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამის შემდეგ კრება 26 მაისისთვის გადაიდო.

დონ-ბედიანი

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მაისი.

**პეტერბურგი.** 25 მაისს ■ კრასნოე სელოში გადაიხადეს დღესასწაული იზმაილოვის რაზმის ლეიბ-გვარდიისა ხელმწიფე-იმპერატორის თანადასწრებით. სასახლის სასადილო პალატაში გამართული იყო საუზმე, რომელზედაც მიპატიჟებულ იქმნა ხელმწიფე-იმპერატორის ამალა რაზმის უფროსნი, ოფიცრები და სასულიერო წოდება.

26 მაისს მართლმსაჯულების სასწავლებელში გადიხადეს აქტი პრინცის პეტრე ალექსანდრეს ძის ოლდენბურგსკისა და მისი მეუღლის თანდასწრებით.

**ბელგრადი.** სამაზრო კრებამ გაჰმართა გლეხთა და აგრეთვე მემამულეების ცხენებისა და რქიან საქონლის გამოფენა.

**კონსტანტინოპოლი.** 280 სახლობა გადავიდა ჩერნოგორიის საზღვარს. ყველას იარაღი ჩამოართვეს. ჩერნოგორიის კონსტანტინოპოლელმა ელჩმა ზომები მიიღო იმათ სამშობლოში გასაგზავნად.

**რისტოვაცი.** 14 კილომეტრის მანძილზე თავი იჩინა რაზმმა 165 კაცმა. ოსმალმა ჯარმა ალყა შემოარტყა რაზმს და გაჰფანტა. რაზმს ყუმბარაცა ქონდა.

**სოფია.** რუსეთმა და ავსტრო-უნგრეთმა ურჩიეს პორტას, მოსპოს დატუსაღება, გაათავისუფლოს უბრალოდ დაპატიმრებულნი და აღარა ჰგზავნოს ტრაპეზუნსა და მცირე-აზიაში.

ხილმი-ფაშა უსკიუბიდან დიაკოვოს წავიდა.

სათადარიგო ოფიცრები მოწვეულნი არიან ერთის კვირით სამსახურის ასასრულებლად.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

---

## სავაჭრო ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,95 |
| ბერლინზე 100 მარკაში | — |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,85 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅜ გაყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 100 ¾ მყიდვ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა | 95⅜ „ |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 435½ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ. | 334½ „ |
| 5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 297½ „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა | — |
| ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც. | 91 მყიდვ. |
| 4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 199 გაყიდ. |

---

## მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, და ფრჩხილებში—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:** 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

**ყარსსა და ერივანს:** 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბორჯომს** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. ' წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ყორაპნისაკენ:** დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

---

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირ.-ქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორანცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და გუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი [illegible].

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორანცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი

## იძლევა ქირით

# სახლები.

ზემო სართულში ოთხი ოთახი სამზარეულოთი. სამი აივანი აქვს და საზოგადო სამრეცხაო. შუა სართულში: სამი ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო. ძირითა სართულში: 4 ოთახი, სამზარეულო. შეიძლება ცალ-ცალკეც. ახლად შეკეთებულია.

მერვე ნაწილი, არსენალის ქუჩა № 8. იკითხეთ სახლის პატრონი. (5—90—5)

---

# ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

# სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მთის უბანში პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible] ქუჩაზე.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხაზირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—58)

---

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

# კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი | — | 20 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| დედების დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე: მისივე | 1 | 50 |

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფასდადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეხლა წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

---

„ქართული დრამატიულის საზოგადოების“

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

# სამს პრემიას

## 300 მან., 200 მან. და 100 მან.

ქართული დრამატიული ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

**პრემიის პირობები შემდეგია:**

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

**შენიშვნა:** კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილი იქმნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენიდან შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული. (10—10)

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 мая, 1903 г. ელექტრონის სტ. წ.-კ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)